21.10. 2017

საერთო სამოქალაქო მოძრაობა „მრავალეროვანი საქართველო“-ს
განცხადება

ორგანიზაციის მოკლევადიანი დამკვირვებლისათვის საარჩევნო კანონმდებლობით გარანტირებული უფლებამოსილების განხორციელებაში ხელის შეშლის თაობაზე

მუნიციპალიტეტის წარმომადგენლობითი ორგანოს-საკრებულოსა და თვითმმართველი ქალაქის/თვითმმართველი თემის მერის 2017 წლის 21 ოქტომბრის არჩევნების დღეზე სამონიტორინგო პროგრამის ფარგლებში „მრავალეროვანი საქართველოს“ მოკლევადიანი დამკვირვებლის მიერ მარნეულის # 22 საარჩევნო ოლქის # 59 საარჩევნო უბანზე (სოფელი იმირი) დაფიქსირდა პირველ შემთხვევაში, საუბნო საარჩევნო კომისიის წევრის, ხოლო მეორე შემთხვევაში აღნიშნული კომისიის თავმჯდომარის მიერ ,,მრავალეროვანი საქართველოს“ დამკვირვებლის საქართველოს საარჩევნო კანონმდებლობით გარანტირებული უფლებამოსილების განხორციელებაში ხელის შეშლა.

კერძოდ, დამკვირვებელს არ მიეცა საშუალება გადაემოწმებინა უბანზე მოსული ორი ამომრჩევლის პირადობის მოწმობაში არსებული მონაცემები იყო თუ არა იდენტური ამომრჩეველთა ერთიან სიაში არსებულ მონაცემებთან, იმდენად რამდენადაც გაჩნდა საფუძვლიანი ეჭვი, რომ ზემოაღნიშნული პიროვნებები შესაძლოა არ წარმოადგენდნენ უბანზე რეგისტრირებულ ამომრჩევლებს (მათი ფიზიკური მახასიათებლები არ ემთხვევოდა ამომრჩეველთა ერთიან სიაში არსებულ ფოტო სურათებს).

გარდა აღნიშნულისა, ეჭვი გაამყარა იმ გარემოებამაც, რომ კომისიის წევრმა (რეგისტრატორმა) ორგანიზაციის დამკვირვებელს არ მისცა საშუალება შეედარებინა ამორჩევლების დოკუმენტებში არსებული პირადი ნომერი, სამაგიდო სიაში არსებულ პირად ნომრებთან. საგულისხმოა, რომ კომისიის თავმჯდომარემ ერთ-ერთ ამომრჩეველს მოუწოდა არ ეჩვენებინა დამკირვებლისთვის პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტი.

სწორედ „მრავალეროვანი საქართველოს“ დამკვირვებლის დაინტერესების საფუძველზე ზემოაღნიშნულმა ამომრჩევლებმა დაუყოვნებლივ დატოვეს საარჩევნო უბანი.

აღმნიშნულ ფაქტზე „მრავალეროვანი საქართველოს“ მოკლევადიანმა დამკვირვებელმა საჩივრით მიმართა შესაბამის საარჩევნო კომისიებს, #59 საუბნო საარჩევნო კომისიის შესაბამისი წევრისა (რეგისტრატორის) და თავმჯდომარის დისციპლინარული პასუხისმგებლობის დაკისრების მოთხოვნით.

ამასთან, საგულისხმოა ცესკოს დღევანდელი განმარტება იმის თაობაზე, რომ საარჩევნო ადმინისტრაცია ვალდებულია არ შეზღუდოს დაკვირვების უფლების მქონე პირების კანონით მინიჭებული უფლებამოსილების განხორციელება. ცესკომ აღნიშნული განცხადება გააკეთა იმის თაობაზე, რომ საარჩევნო უბნებში სხვადასხვა სუბიექტების წარმომადგენლების და დამკვირვებლების მიერ ხდება არჩევნებში მონაწილე ამომრჩეველთა გადამოწმება რეგისტრატორებთან.

„მრავალეროვანი საქართველო“ მიიჩნევს, რომ მსგავსი შემთხვევები განმეორებითი ხმის მიცემისათვის ხელსაყრელ ნიადაგს ქმნის, რაც თავის მხრივ საფრთხეს უქმნის არჩევნების სამართლიან და გამჭვირვალე გარემოში ჩატარებას. ამრიგად, მანკიერი ელექტორალური პრაქტიკის პრევენციის მიზნით, მნიშვნელოვნად მიგვაჩნია დამკვირვებლებს მიეცეთ საკუთარი კანონიერი უფლებების სრულფასოვნად რეალიზების შესაძლებლობა.

“მრავალეროვანი საქართველო” 2003 წლიდან აქტიურად არის ჩართული ქვეყანაში არჩევნების გამჭვირვალობის ხელშეწყობისა და საარჩევნო პროცედურების ეფექტურად რეალიზების პროცესში. ორგანიზაცია მონიტორინგს უწევდა საქართველოში გამართულ ყველა არჩევნებს.

არჩევნების დღეზე სამონიტორინგო პროგრამა ხორციელდება საქართველოში ნიდერლანდების სამეფოს საელჩოს, ეროვნული ღვაწლი დემოკრატიისათვის (NED), ფონდი „ღია საზოგადოება საქარველოს“ (OSGF), საქართველოში დიდი ბრიტანეთისა და ჩრდილოეთ ირლანდიის გაერთიანებული სამეფოს საელჩოსა და შვედეთის საგარეო საქმეთა სამინიტროს ფინანსური მხარდაჭერით.

განცხადების შინაარსზე პასუხისმგებელია საერთო-სამოქალაქო მოძრაობა „მრავალეროვანი საქართველო“ და იგი შესაძლოა არ ასახადეს დონორი ორგანიზაციების შეხედულებებსა და მოსაზრებებს.

საქართველო, 0102, თბილისი, დ. უზნაძის ქ. 117, II სად., 1 სართ.
ტელ/ფაქსი : (+995 32) 296 21 25
e-mail: pmmg@pmmg.org.ge ***web-page : www.pmmg.org.ge***